სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 17-24

ქ.თბილისი

11 მაისი 2017 წელი.

ერთი მხრივ, სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ტორუას სახით და მეორე მხრივ, შპს „დოლფინ Dolphin“ შემდგომში “მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ მამაცაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები,“ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის პირველი პუნქტის, ამავე კანონის 16[1] მუხლის პირველი და მე-8 პუნქტის, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

„ხელშეკრულებაში“ გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული „ხელშეკრულება“, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში მინიშნებებია;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - თანხა, რომლის გადახდის ვალდებულება ეკისრება „შემსყიდველს“ „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის;

1.3. „დღე,“ „კვირა,“ „თვე“ - სამუშაო დღე, კვირა, თვე;

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს „საქონლის“ მიწოდებას „ხელშკრულების“ პირობების შესაბამისად;

1.6. „მხარეები“ – „შემსყიდველი“, რომელიც ახორციელებს შესყიდვას და „მიმწოდებელი“, რომელიც ახორციელებს „მომსახურების” მიწოდებას, „ხელშეკრულების“ პირობების გათვალისწინებით;

1.7. „მომსახურება“ – „ხელშეკრულების“ მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი;

1.8. „ტექნიკური დოკუმენტაცია“ – „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და ფასების ცხრილი, რომელიც შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს და რომლის ნამდვილობაზეც პასუხს აგებს „მიმწოდებელი“ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.9. „ინსპექტირება“ – „ხელშეკრულების“ პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახამრების ცენტრისთვის“ საჭირო ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები (CPV-798 00000) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA170005423) საშუალებით შესყიდვა.

2.2. „მომსახურების“ დეტალური აღწერა, რაოდენობა, ტექნიკური მახასიათებლები და ღირებულება, რომელიც „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილია გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA170005423), თან ერთვის „ხელშეკრულებას“ დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. „ხელშეკრულების“ სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 1179 (ათას ას სამოცდაცხრამეტი) ლარს.

3.2. „ხელშეკრულების“ საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ „მიმოწოდებლის“ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მომსახურების მოწოდების პირობები:

მომსახურების მიწოდების ვადა:

4.1. „მომსახურების” მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს „მომსახურების“ მიწოდება ეტაპობრივად ან ერთბაშად, „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად, არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეში.

მომსახურების მიწოდების ადგილი:

4.3. საქონლის (მომსახურების) მიწოდების ადგილად განისაზღვრება ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N 117.

4.4. მომსახურების გაწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ წინასწარ (ერთი კვირით ადრე) აცნობებს „მიმწოდებელს“ ახალ მისამართს, რაზეც გაფორმდება შესაბამისი შეთანხმება.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი გოჩა აბულაძე, ლოგისტიკის დეპარტამენტის ლოგისტიკის და სამეურნეო სამმართველოს უფროსი დავით კირკიტაძე.

6. ანგარიშსწორება

6.1. „მომსახურების" ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტა - ლარში.

6.2. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება „მომსახურების" მიწოდების თაობაზე მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებიდან და „მიმწოდებლის" მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებასთან ერთად, „მიმწოდებელი" ვალდებულია წარმოუდგინოს „შემსყიდველს" საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, „შემსყიდველს" უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

8. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.1. უზრუნველყოს ,,შემსყიდველისათვის" „მომსახურების" მიწოდება დროულად და ხარისხიანად;

8.2. უზრუნველყოს „შემსყიდველის" მიერ ინსპექტირებისას გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა დაუყოვნებლივ, საკუთარი ხარჯით.

8.3. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.4. „ხელშეკრულების" გაფორმების შემდეგ „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები განახორციელოს ქვეკონტრაქტორის მეშვეობით „შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, ამასთანავე, „მიმწოდებელს" უფლება არ აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ, „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს მესამე პირს „ხელშეკრულებით" მისთვის მინიჭებული უფლება–მოვალეობანი.

9. „შემსყიდველი" ვალდებულია:

9.1. მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

10. მხარეთა უფლება

10.1.„მიმწოდებელს" უფლება აქვს:

10.2.„ხელშეკრულების" ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

10.3.„შემსყიდველს" უფლება აქვს:

10.4.ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი" ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვეტილად ითვლება, აღნიშნულის შესახებ, მიმწოდებლისადმი გაგზავნილ წერილობით შეტყობინებაში მითითებული ვადიდან.

11. ხელშეკრულების ინსპექტირება

11.1.„შემსყიდველი" უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ „ხელშეკრულების" შესრულების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირ(ებ)ს, ხოლო „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელებაში.

11.2.ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" შიდა კონტროლის დეპარტამენტი.

11.3.ინსპექტირების განამახორციელებელი პირ(ებ)ის უფლება-მოვალეობები:

11.4.„მიმწოდებლის" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების ხარისხისა და მიწოდების ვადების „ხელშეკრულების" მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლის/ზედამხედველობის განხორციელება და აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის მომზადება.

12. ფორს-მაჟორი

12.1.ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2.ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული "შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და "მომსახურების" მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

13.1.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს "შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს "მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.2.ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1.თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო „მხარეები" შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/ და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში „მხარეებს" ეკისრება „პირგასამტეხლო" შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.

15.2.„პირგასამტეხლოს" გადახდა უნდა განხორციელდეს „მხარის" მიერ მეორე „მხარისადმი" გაგზავნილ შესაბამის წერილში მითითებული ვადიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

15.3.საჯარიმო სანქციების გადახდა „მხარეებს" არ ათავისუფლებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4.იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელზე" დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს „ხელშეკრულების" ღირებულების 10%-ს, „შემსყიდველი" უფლებამოსილია შეწყვიტოს „ხელშეკრულება" და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" შესაბამისი პირგასამტეხლოს გადახდა.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1.„შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

16.2.თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1.„შემსყიდველი" უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

17.2.„ხელშეკრულების" ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.3.„ხელშეკრულება" აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

18. ხელშეკრულების შესრულება

18.1.„ხელშეკრულება“ შესრულებულად ჩაითვლება „შემსყიდველის“ მიერ „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემდეგ.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1.წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

19.2.„ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 31 მარტის ჩათვლით.

20. განსაკუთრებული პირობები

20.1.ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

20.2.ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - „მიმწოდებელთან”, ხოლო ორი - „შემსყიდველთან”.

21. მხარეთა რეკვიზიტები

“შემსყიდველი”	„მიმწოდებელი“
სსიპ „სსდ ცენტრი“	შპს „დოლფინ Dolphin“
ს/კ: 205307960	ს/კ: 405015727
იურიდიული მისამართი:	იურიდიული მისამართი:
ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ.#144	საქართველო, ქ. თბილისი,
ფაქტიური მისამართი:	ვაკე-საბურთალოს რაიონი,
ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. #117	ვაჟა-ფშაველას გამზ.,
დაფინანსების წყარო:	N 47, კვ. I, კორ. N18, ბ. N23
სახელმწიფო ბიუჯეტი;	საბანკო რეკვიზიტები:
საბანკო რეკვიზიტები:	ბანკის დასახელება და კოდი :
ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს საქართველოს ბანკი - BAGAGE22
ბანკის კოდი - TRESGE22	საბანკო ანგარიში :
შიდა ანგარიში - 200122900	ა/ა GE58BG0000000774818500
სახაზინო კოდი - 3503030702	
დავით ტორნუა	*ვლადიმერ მამაცაშვილი*

ვიზირებულია:

ა. შეყილაძე

გ. ტარუღიშვილი

ვ. ჭანიშვილი

გ. თოფურია

გ.აბულაძე

შემსრულებელი:
ლ.თავაძე

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 17-24-ის დანართი

N	დასახელება	ტექ. მონაცემები	რაოდენობა	ერთ. ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	მთლ. ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	წარმოშობის ქვეყანა ან მწარმოებელი (ბრენდი)	მიწოდების ვადა და ადგილი
1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კურსი ექიმებისთვის რს - 313	A4 ფორმატის, 300 გრ. ცარცის, პრიალა ზედაპირით.	200	0.32	64	საქართველო, შპს დოლფინი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე ეტაპობრივად, ან ერთბაშად, „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად, არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეში. ქ. თბილისი, აგაკი წერეთლის გამზირი N 117
2	ტრავმული პაციენტის სტაბილიზაცია და ტრანსპორტირება რს - 316	A4 ფორმატის, 300 გრ. ცარცის, პრიალა ზედაპირით.	1000	0.32	320	საქართველო, შპს დოლფინი	
3	გადაუდებელი კარდიოლოგიური დახმარება რს - 315	A4 ფორმატის, 300 გრ. ცარცის, პრიალა ზედაპირით.	1000	0.32	320	საქართველო, შპს დოლფინი	
4	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კურსი ექთნებისთვის რს - 314	A4 ფორმატის, 300 გრ. ცარცის, პრიალა ზედაპირით.	500	0.31	155	საქართველო, შპს დოლფინი	
5	პირველადი სამედიცინო დახმარება რს - 306	A4 ფორმატის, 300 გრ. ცარცის, პრიალა ზედაპირით.	1000	0.32	320	საქართველო, შპს დოლფინი	
ჯამი 1179(დღგ-ს გათვალისწინებით)							

"შემსყიდველი"
სსიპ „სსდ ცენტრი“
ს/კ: 205307960

დავით ტორუა

„მიმწოდებელი“
შპს „დოლფინ Dolphin“
ს/კ: 405015727

ვლადიმერ მამაცაშვილი